

საქართველოს



ნაწი 10 მან.

საქართველოს

ნოემბრის 4 1920 წ.

რეკლამები

სახელმწიფო თეატრი

4 ნოემბერი

პარაკევეს 5 ნოემბერს

ბალეტის საღამო მის. მორდკინისა

შაბათს, 6 ნოემბერს ოპერა მუშებისათვის

მეზენი მენებინი

7 ნოემბერს

მინიონი

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

972 1-1

სახელმწიფო ღრამის თეატრი

ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21. ტელ. 8.07

შაბათს, ნოემბრის 6-ს

ოტელიო

შექსპირისა.

ახალი დეკორაციები და კოსტიუმები მხატვრის ალ. ზალდმანისა.

რეჟისორი აკაკი ფაღავა.

დასაწყისი ხელ. 7 საათზე.

მოქმედების დროს დაბრუნში შესვლა აკრძალულია

ბილეთები იყიდება დღის 11 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

971

1-1

ტფილისის ქალაქის გამგეობა ანით აცხადებს,

რომ ხუთშაბათს 1920 წ. ნოემბრის 4-ს დღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია (თვითმართელობის შენობა, თავისუფლების მოედანზე)

საჯარო ვაჭრობა ქალაქის სასწრაფოს იჯარით განსჯებათ

რომელიც მდებარეობენ მალაქის და დესიმონოვის მოედანზე. პირობების გაცნობა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის საიჯარო და საადგილ-მამულ-ლო განყოფილებაში ნაშუადღევს 2-3 საათამდე.

975 2-2

ქალაქის გამგეობა.

საჯარო ვაჭრობა

რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივი ანით აცხადებს, რომ შაბათს ექვს ნოემბერს დღის 12 საათზე

ტფილისის საგზაო ალიმპის შენობაში

სადგარის ქუჩა, № 24, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. გასასყიდა 50-80 ფუტი სა-ბევი ქალაქი.

3521 3-2

კავკასიის ბანკის გამგეობა ანით აცხადებს,

რომ დაიკარგა, გაცემული მის მიერ 1917 წ. სექტემბრის 5-ს შესანახი ბილეთი № 49162 1160 მანეთის თვითმართელობის ძე კახიანის სახელზე.

თუ ერთი წლის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა, არ იქნება წირმო-დგენილი ბანკში აღნიშნული ბილეთი, მაშინ არ ჩაითვლება გაუქმებულად.

978

3-2

1-ლი საარტილერიო დივიზიონის მე-2 ბატალიონის სა-ჭიროა მწეობრის ნახვალი უფილი არტილერიისტი ან კა-ვალერიისტი.

პირობების გაგება შეიძლება ბატარეის კანცელარიაში ქ. ბათომში.

3510

1-1

სახელმწიფო გამოცდების კომისია

სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე კურს დამთავრებულთათვის სწავლა-განათლების საინსტროს მიერ უკვე დანიშნულია და შეუდგება გამოცდებს მიმდინარე 1920 წლის 1 დეკემბრიდან.

გამოცდების დაქერის მსურველთა უნდა შემოიტანონ თხოვნა სახელმწიფო უნივერსი-ტეტის კანცელარიაში და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საქმის მწეობრებს წარუ-დგინოს. თხოვნასთან უნდა წარმოადგინოს იქმნეს მოწმობა ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლე-ბლის კურსის შესრულებისა, გამოცდების ჩაბარებისა, წლოვანებისა და ორას ორმოცდა ათი მანეთი (250 მ).

979 3-1

მთავრობის მთავრობის, უფლებდღიური ვაჭრობა

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტრის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. საშელოვარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15-2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო უწყ. განცხადებ-ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% ზედ-ბეჭდვის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელფ. 1-32

4 ამა ნოემბერს, დღის 9 საათზე, თივის მოედანზე (იგივე სამანაია მოედ.)

შესდგება რადიო-ტელეგრაფის გუნდის შენაგის აუციო-ნური ვაჭრობით გაქმნა.

982

1-1

ვეორე ქართული კლუბი

პარასკევს, 5 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, დანიშნულია საგანგებო საჯარო პრეზა

ფრიად საჭირო კითხვების განსახილველათ. წევრთა, დასწრება აუცილებელია.

983

2-1

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის გამგეობა ანით აუწყებს თავის მოკავშირეებს,

რომ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს დღით თხოვრის დღის 10 საათზე ქალ. ტფილისში

დანიშნულია საქართველოს ცენტრალური კოოპერატიულ კავშირის რეგულაციით 1-ლი წლიური პრიორა

შემდეგი საკითხების განსახილველად:

- 1) საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს კოოპერატივა
- 2) რწმუნებულთა კრებისათვის სახელმძღვანელო ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
- 3) კავშირის 1919 წლის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
- 4) მოკავშირეთა ბიუროს მოხსენება.
- 5) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
- 6) კავშირის 1920 წლის მოქმედების მიმოხილვა და 1920 წლის ხარჯთ-აღ-რიცხვის განხილვა და დამტკიცება.
- 7) კავშირის მომავალი მოქმედების გეგმა.
- 8) მოკავშირეთა ბიუროს ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
- 9) სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის განხილვა და დამტკიცება.
- 10) კავშირის წესდების გადაშინჯვა.
- 11) საქართველოს კოოპერატიული ბანკის გამგეობის მოხსენება.
- 12) კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
- 13) მიმდინარე საკითხები.

თანხმად კავშირის წესდების მე-3, 9, 10 და 11 §§-ისა საქართველოს ცენ-ტრალური კოოპერატიული კავშირის წევრებთან ითვლებიან:

გომის, ჩოხატაურის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, საჯევანოს, ნატანების, სამ-ტრედის, ზუგდიდ-სამურზუყანოს, ზესტაფონის, ქიათურა-საჩხერის, გორის, სენა-კის, აბაშის, დუშეთის, სიღნაღის, ლორის, ვორანცოვის, ქუთაისის, ტფილისის, სოხუმის და კახეთის რაიონების კოოპერატიული კავშირები, სომხეთის კოოპერა-ტიული კავშირი „აიკობი“, მწარმოებელ კოოპერატიული საგამსაღებლო კავშირი, ფოთის მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია“, ბათუმის მომხმარებელთა სა-ზოგადოება, ზუგდიდის მარხის მეთამბაქოეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

თანხმად კავშირის წესდების მე-29 და 30 §§-ისა ზემოაღნიშნული კოოპერატიული ორგანიზაციები გზავნიან რწმუნებულთა ყრილობაზე დასასწრებლათ:

გომის კავშირი—8 რწ., ჩოხატაურის—5 რწ., ოზურგეთის—3 რწ., ლანჩხუ-თის—3 რწ., საჯევანოს—2 რწ., ნატანების—2 რწ., სამტრედიის—5 რწ., ზუგ-დიდ-სამურზუყანოს—8 რწ., ზესტაფონის—8 რწ., ქიათურა-საჩხერის—5 რწ., გო-რის—5 რწ., სენაკის—5 რწ., აბაშის—3 რწ., დუშეთის—3 რწ., სიღნაღის—10 რწ., ლორის—5 რწ., ვორანცოვის—1 რწ., ქუთაისის—10 რწ., ტფილისის—10 რწ., სოხუმის—3 რწ., კახეთის—8 რწ., მწარმოებელ კოოპერატიული საგამსაღებ-ლოს კავშირი—1 რწ., ფოთის მომ. საზოგადოება „ეკონომია“—1 რწ., ბათუმის მომხმარებელთა საზოგადოება—2 რწ., ზუგდიდის მარხის მეთამბაქოეთა ამხანაგო-ბა—1 რწმუნებულს.

თანხმად კავშირის წესდების მე-29 §-ისა რწმუნებულთა კრება შესდგება კავ-შირის წევრთაგან თავიანთ კრებაზე—რწმუნებულთა კრებაზე—ერთი წლის ვადით სპეციალურად ამორჩეულ პირებისაგან.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობა სთხოვს თავის წევრებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეუსრულებიათ კავშირის წესდების §§ 9, 10, 11, 29 და 30 აღნიშნული მოთხოვნებიანი, მოახდინონ სპეციალური რწმუ-ნებულთა კრებები წარმომადგენლების ასარჩევად და არჩეულთა სია სათანადო ბლანკზე ბეჭდის დასმით დამტკიცებული დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ ცენ-ტრალურ კავშირში.

დაწვრილებით ცნობებს ყრილობის ადგილის, რწმუნებულთათვის ბინის და სხვა ამგვარის შესახებ ჩამოსული რწმუნებულნი მიიღებენ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის მთავარ კანტორაში (მუშტაიდი, კოოპერაციის ქუჩა, საკუთარი სახლი № 15).

საქართველოს ცენტრ. კოოპერატიული კავშირის გამგეობა.

981 3-1

საქართველოს სახელმწიფო

განკარგულნი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

28 ოქტომბერი, 1920 წ., № 305.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის მოვლელი ბარბაღე შატერის ასული ძეგლაძისა ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 306.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის მოვლელი ევატერიონი ბიჭორის ასული ბიბილიძე ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 307.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის დროებითი შტატში მყოფი მოვლელი ანა იოსების ასული ფალიაშვილისა ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 308.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის კონტროლიორი დავით იასლიანის ძე ჯეგნარაძე ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 309.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის კონტროლიორი პარმენ შურუაძის ძე ოქროშვილი ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 310.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის დროებითი შტატში მყოფი კონტროლიორი ალექსანდრე პლატონის ძე დიდბერიძე ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 311.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის კონტროლიორი შალვა იოსების ძე ტყეშელაძე ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 312.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის დროებითი შტატში მყოფი კონტროლიორი ივანე ნიკოლოზის ძე ბიჭვინაშვილი ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 313.

დათხოვნილ იქნება: სამსახურიდან შტატების შემცირების გამო სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის კონტროლიორი გური დავითის ძე კანდელაკი ამა 1920 წ. 10 ნოემბრიდან.

№ 314.

გადაყვანილ იქნება: სახელმწიფო ქალაქების დამზადებულ ექსპედიციის დროებითი შტატში მყოფი ბონების დამოვლელი თამარი გიორგის ასული ჭანუყვაძე ძირითად შტატში, ნოემბრის 10-დან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ბ. ავალიანი.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამართველას უფროსისა.

16 ოქტომბერი, 1920 წ., № 54.

გამწესებულნი არიან: შექვეყნებულნი ხარისხის მოხელეებანი: კანდიდატები ანასტასია გოგლაშვილი, ბაღდაძე, სევერიანე გურგენიძე ვაგრაში, ვერაქია პარკია, თანამდებობის აღმასრულებლად ფოთში, ყოფილი მოხელე ირაკლი ცომაია გურჯაანში, კანდიდატები: აკაკი ლეკვიანიძე და ნესტორ ხესკია ზედახედელო. დაბალი ჯამაგარი ლეკვიანიძე არტანუჯში, ესაკია ცაგერში. მეორე კატეგორიის ფოსტალონიებათ ნოე მასხარაშვილი წიორის წყალში, ლუკა ხარაძე ქუთაისში, ანდრია ვახუშაძე ქარელში, ვარლამ ზახარია გუდაუთში და ყოფილი ფოსტალონი ხარტან შოშვილი ვაგრაში. გოგოლაშვილი, პარკია ხარაძე და ვახუშაძე 16 ოქტომბრიდან დაწარმოვნი 21 ოქტომბრიდან.

დანიშნულნი არიან: შორაპნის ფოსტალონი კლემენტი მიქაბერიძე 6 ხარისხის მოხელე შორაპნში, ტფილისის IV ხარისხის მოხელე იოსებ ტატიშვილი III ხარისხის ფოსტის კანტორაში, ფოსტის მოხელენი: III ხარისხის ბესარიონ ვაშაქიძე და აკესენტი

მიმინოშვილი, 4 ხარისხის ევატერიონე სიხარულიძე, 5 ხარისხის ანტონ შულაია, ლიუდმილა ჭავჭავაძე, ქსენია უჩამეიშვილი, ვერაქია სიჭინავა, ოლთა ვასრადე და ვრიგოლ მაშაია, 6 ხარისხის ნინო იზორია, ესტატე ბერაია, ნესტორ სიჭინავა და ალექსანდრე ლუკაშვილი იმავე კონტორაში მოხელეებათ: ვაშაქიძე და მიმინოშვილი II ხარისხით, სიხარულიძე III ხარისხით, შულაია, ჭავჭავაძე უჩამეიშვილი, სიჭინავა, ვასრადე, მაშაია და ლუკაშვილი 4 ხარისხით, იზორია, ბერაია და ნესტორ სიჭინავა 5 ხარისხით. მიქაბერიძე 21 ოქტომბრიდან, ტატიშვილი 1 ნოემბრიდან, დანარჩენნი 16 ოქტომბრიდან.

გადაყვანილნი არიან: იმავე წოდებით: არტანის დაბალი ჯამაგარის ზედახედელო გლადიშვილი ევანია და გვარის მაღალი ჯამაგარით ნიკოლოზ ტატიშვილი ტფილისის ტელეგრაფის კანტორაში. ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: სიხარულიძე III ხარისხის ალექსანდრე ზამაშვილი ქუთაისში, სიხარულიძე 6 ხარისხის ალექსანდრე ლიფონავა სამტრედიისა, გურჯაანის 6 ხარისხის ვასილ გულიშვილი ტფილისის ქალაქის III განყოფილებაში. ფოსტალონიებათ: წიორის-წყალის გრიგოლ გიორგაძე შორაპნში, ტფილისის ფოსტის კანტორის ნიკოლოზ ბარბუღარაძე ტფილისის 5 განყოფილებაში. ბარბუღარაძე 18 ოქტომბრიდან, ტატიშვილი და გიორგაძე 16 ოქტომბრიდან, დანარჩენნი 21 ოქტომბრიდან. ყველანი თანახმად თხოვნისა.

დათხოვნილნი არიან: სამსახურიდან ფოსტა-ტელეგრაფის მოხელენი: ვაგარის 4 ხარისხის იეორონიმ ცინცაძე და 6 ხარისხის ნიკოლოზ ვასრადე, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის II ხარისხის კონდრატი გაბუნია და 5 ხარისხის იოსებ მუმლაძე. ფოსტალონიებათ: გუდაუთის გიორგი სანაძე და ოზურგეთის მიხეილ ჩინჩიბაძე. ჩინჩიბაძე 14 ოქტომბრიდან; დანარჩენნი 16 ოქტომბრიდან. სანაძე დანიშნულებისამებრ წასვლაზე უარის თქმის გამო, დანარჩენნი თანახმად თხოვნისა. სამართველას უფროსი შველაძე.

საქართველოს სახელმწიფო

ვიწად-მოკადავის საშინესროში

სატყუო განყოფილებაში.

მიწად-მოკადავის სატყუო განყოფილებამ დაადგინა: 1) გადასცეს შორაპნის ერობას ფარცხნალის აგარაკი. შემდეგ შორაპნის რაიონის ტყის ვაჭრებ წაიკეთონა მოხსენება მცხოვრებთა ნაწილის სხვა ადგილებში გადასახლების გზით ტყის შენახვის შესახებ. ამის შემდეგ განყოფილებამ დაადგინა: ვინაიდან მცხოვრებლები არ არიან უზრუნველყოფილნი მიწით, და არც არის საშუალება მიეცეს მათ აქ საკურო მიწა. აღცილებელი მცხოვრებთა შორის ფართო აგარაკის ვაჭრები იმ მიზნით, რომ მცხოვრებლებს ნაწილი მიანიჭ გადასახლოს სასოფლო მეურნეობისათვის სხვა გამოსადგე რაიონებში. ეთხოვოს ვად-მახლებელ განყოფილებას მიიღოს ზომები გადასახლოს მცხოვრებნი პირველ რიგში ხარაგოლისა და ლელვანის რაიონებიდან. ტყის მეურნეობის მხრივ ნაკლებ მნიშვნელოვანი ადგილები უნდა დაურიგდეს ადგილობრივ მცხოვრებლებს. დაარჩივებს თემები მიწად მოქმედების მინისტრის ნებართვით.

ფარცხნალის აგარაკის (რომელიც შორაპნის ერობის ვადაც) ექსპლუატაციაში უნდა მისცეს ადგილობრივ მცხოვრებელ მუდმივი სამუშაო, რითაც ბევრად შემცირებული იქნება თავის სურვილით ტყეების ჩეხვა. ამასთანავე გადაწყდა მიმართონ თხოვნით სამხარო ერობას და თემებს მიიღონ ზომები მათ წინააღმდეგ, ვინც ანადგურებს ტყეს, და აგროევე გასწონ ფართო აგარაკია, რათა ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილი გადასახლოს მათთვის მიჩინულ სხვა რაიონებში, რასაც სატყუო განყოფილება პრინციპალიონად უნდა დაეცეს და ერთადერთ ნორმალურ ზომად ადგილობრივ მცხოვრებთა მიმეგ პირობებიდან გამოსაყვანად.

სატყუო განყოფილებაში განიხილეს გორის თვითმმართველობის შუამდგომლობა ატენის ხეობიდან გორში დანგრეულ შენობათა აღსადგენათ საკურო ხე-ტყის მასალის დათმობის შესახებ. სატყუო განყოფილება პრინციპალიურად დასთანხმდა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ პირობით, რომ ყველა ის ორგანიზაცია, რომლებიც გორის აღსადგენათ მუშაობენ, შეუთანხმდნენ გორის ერობას, რომელსაც ხე-ტყის სახეობა ქარხანა აქვს.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყოფილება).

სამალეთ-ბულგარეთის შეთანხმება. ოსმალეთსა და ბულგარეთის მთავრობებს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალითაც ოსმალეთის უნდა დაუბრუნდეს ის რაზმები, რომლებმაც გადალახეს ბულგარეთის საზღვრები იმ დროს, როდესაც საბერძნეთის ჯარებმა ფრაკია დაიკავე.

შენშევიკები ლატვია-ესტონეთში. ბერლინელ ტაგებლაცი იუწყება: ლატვიასა და ესტონეთში დიდ სახელი აქვს სოციალისტ მენშევიკებს. კომუნისტებს შეტად მცირე თანამდებობანი ყავთ. ესტონეთში არც ერთი ბალშევიკური გაზეთი არ არსებობს. აქ შემოაქვთ ბალშევიკთა გაზეთი „პეტიტიონი“, რომელიც რუმინეთში იბეჭდება. ესტონეთში მტკიცედ სდგანან თავის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე.

დიდი ბრიტანეთი და სპარსეთი. „ტიმს“-ში დაბეჭდილია სპარსეთიდან მოსულ ინგლისელ ოფიცრის წერილი, ამ წერილში სხვათა შორის ნათქვამია: ჩვენი სპარსეთიდან გამოსვლა დიდ ბრიტანეთის პრესტიჟს დიდ ზიანს აყენებს. ამ ცრუ ხნის წინა დიდ ბრიტანეთის პარლამენტი სპარსეთში უფრო დიდი კაცი იყო, ვიდრე დიდი ქალაქის გუბერნატორი.

ჩინეთის სამხედრო დიპლომატიური მისია მოსკოვში.

მოსკოვში გენ. ჯან-სი-ლინის მეთაურობით ჩინეთის სამხედრო დიპლომატიური მისია ჩამოვიდა. „ნივესტიას“ ცნობით მისიის მიზანია საბჭოთა რუსეთის ვაცობა და მასთან ნორმალურ პოლიტიკურ და სავაჭრო დამოკიდებულებათა დამყარება მისიის წევრებსა და ჩინეთის უკვე ჰქონდათ რამდენიმე თათბირი.

(გაზეთებიდან.)

ფრანგი სინდიკატები ბალშევიკების წინააღმდეგ.

ორლანიდან მოსულ ცნობებით ფრანგი სინდიკატების ყრილობაზე ერთხმად დადგენილი იყო, რომ ბალშევიკებს ყოველგვარი წინააღმდეგობა გაუწიონ.

რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულების პროექტი.

გაზეთ „დეილი გეოგრაფის“ გადმოცემით ინგლის რუსეთ შორის გამოქვეყნდა ხელშეკრულების პროექტი პარტიკში რამდენიმე მუხლია ჩამოთვლილი და როგორც ამბობენ რუსეთ ინგლისის შორის დაიდება ხელშეკრულება, რომლის წყალობით დაყარდება მკიდრო ურთიერთობა.

იტალიის სოციალისტური პარტია და მოსკოვის ინტერნაციონალი.

იტალიის სოციალისტურმა პარტიამ 21 ხმით 7 წინააღმდეგ დაადგინა მიიღოს მოსკოვის ინტერნაციონალის პირობები, ზოგიერთ შესწორებით. იტალიის სოციალისტურ პარტიის ხელმძღვანელი ამის წინააღმდეგი იყო და პარტიას თავი დაანება.

ამერიკის ხომხების მისია საბერძნეთში

„უორნალ ორიენის“ ცნობით ნიუ-იორკიდან ათინაში გამგზავრებული ამერიკის სომხების ვაჭართა თავმჯდომარე მირხან სრავაში. მირხან სრავასთან გაყოფილი სპეციალური მისია. მისიას აზრად აქვს ეკონომიურ კავშირის დაჭერა საბერძნეთთან.

საბჭოთა რუსეთში სასწრაფო ქალაქები.

„ნივესტიას“ იუწყება: სასწრაფო ქალაქები, რომელთაც მოსკოვში ერთი დაწესებულებიდან მეორეში გზავნიან ხშირად გზაში მთელი დღეებით და ხან კვირებით ჩეხებ. ბევრი შიკრიკი ხშირად მთელ სამუშაო დღეს კარგავს, იმისათვის, რომ ერთი-ორი კონფერტი წაიღოს.

აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობის დღე-გაგები.

„ნივესტიას“ იუწყება: აღმოსავლეთ ხალხების კომუნისტურ ორგანიზაციის ცენტრალურმა ბიურომ მიიღო ცნობა, რომ აღმოსავლეთის ხალხების ყრილობის დღეგატები სპარსეთიდან, ზადე, ზინალი და აბდულ-აზადე სპარსეთის საზღვრის ვადასგლის დროს დაიქარეს და მოკლეს სპარსეთის ჯანდარ-მებმა.

რუეთის სავაჭრო დელეგაცია.

საბჭოთა პრესა იუწყება: რუსეთის სავაჭ-

რო დელეგაციის მდგომარეობა კრიტიკულია. კრასინმა რამდენიმე დიდ კონტრაქტს მოაწერა ხელი. სავაჭრო ფორმებთან მოლაპარაკება პოლიტიკურ მდგომარეობას და მიუხედავად სწარმოებს თანხა კონტრაქტებისა, რომლებიც რუსეთის დელეგაციამ ინგლისის ფორმებთან დასდო რუსეთში ტრინსპორტის შემოტანის შესახებ, ამ ეპოქად 100,000 გირვანქა სტერლინგს უდრის. შეკვეთილია ავტომობილის შინები—50,000 გირ. სტერლინგის ღირებულებისა და მედიკამენტები—150,000 გირ. სტერლინგისა. საქონელს რუსეთში რეველით შემოიტანდნენ. რუსეთიდან უმთავრესად გაიტანდნენ ტყის მასალას.

(გაზეთებიდან.)

არეულობა წითელ არმიასში.

ის სისწრაფე, რომელიც გამოიჩინა საბჭოთა რუსეთმა პოლონეთთან ზავის ხელშეკრულების დადებამდე აიხსნება, სხვათა შორის იმითაც, რომ წითელ არმიელთა ფრონტზე არეულობა იყო და საბჭოთა მთავრობას ამის შესახებ ძალიან ეშინოდა. ამას გარდა თვით საბჭოთა ჯარების შორისაც დიდი პანიკა იყო გამეფებული. წითელ არმიელს ეშინოდათ რომ პოლონელები გაიმარჯვებენ და მიწასთან გაგვასწორებენ. შიში იმდენად ძლიერი იყო რომ ტროცკისთან წითელ არმიელებიდან დელეგაცია მისულაყო და ეთქვათ, რომ თუ მთავრობა არ შეცვრავს ზავს პოლონეთთან მაშინ თვით ჯარის კაცები დასდებენ ზავს. ამის გამო ტროცკის ბრძანებით დახვრეტეს რამდენიმე ჯარის კაცი. ამან გამოიწვია კიდეც ის რომ ჯარებმა დახვრეტეს რამდენიმე კომისარი და ამ რიგად წითელ არმიასში დიდი უწყობა და არეულობა მოხდა.

დეკემბერი

(საქართველოს დემკრატია სავაჭრო).

ლიონის ცნობები

ჩემბერლენის ვანცხადება.

თემთა პალატაში ჩემბერლენმა განაცხადა, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობათა გაუგებრობა გამოწვეული იყო ბრიტანეთის მთავრობის ცნობის დაგვიანებითა.

ძალდატანებითი ვადტრიალება.

ყოფილ მეფის კონსტანტინეს მომხრეებს, როგორც ამბობენ განზრახული აქვთ საბერძნეთში ძალდატანებითი ვადტრიალება მოახდინონ.

მინისტრთა საბჭო.

მინისტრთა საბჭოს სხდომა შესდგა სამშაბათს ალ. შილიერანის თავმჯდომარეობით, ეროვ ლეიგმა დაასურათა მდგომარეობა სავაჭრო პოლიტიკის თვალსაზრისით და მისი წინადადებით ლეონ ბურჟუაზ (გამოტრეგებული) პროექტი ეხება 30,000 ფრანკის კრედიტების გახსნას (დამახინჯებული).

ელჩთა კონფერენცია.

ელჩთა კონფერენციის სხდომა შესდგა სამშაბათს ეთიულ კამბონის თავმჯდომარეობით. განიხილეს მოხსენება დანკივის და პოლონეთის წინამომადგენელთა მოლაპარაკების შესახებ. მოლაპარაკება სასურველად მიმდინარეობს.

ვენეზილოსის ვანცხადება.

„დემა“ სწერს: ვენეზილოსმა გუბარისის მიერ კონსტანტინეს სასარგებლო შედგენილ კომპანიის შესახებ სთქვა: საბერძნეთის ხალხს სურს მეფე, რომლის უფლებას არავინ შეეხება, რეაქციონერებს პრინციპაღეს უფლებებში ეჭვი შეაქვთ და ამიტომ ლიბერალურ პარტიას სურს ეს საკითხი საზოგადოებრივი აზრის მიხედვით გადასწყვიტოს.

უელსის შთაბეჭდილება ბალშევიკური რუსეთის შესახებ.

ინგლისის ცნობილი მწერალი უელსი ამ ეპოქად რუსეთში იმყოფება. როგორც სჩანს, ის მაღალი აზრის არ არის ბოლშევიკურ ორგანიზაციებზე. უელსი აღნიშნავს, რომ გლეხების მდგომარეობა არ შეცვლილა, ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრება, დაშლილია. კომუნისტურ პარტიაში ითვლება 200000 კაცი. ის იტავს ოფიციალურად წესრიგს და მას დაუწესებია სურსათის სისტიმა, (უფლებებით) რომელიც შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე რუსეთში.

გერმანული პრესა.

მაღაროების ნაციონალიზაცია.

ქვანახშირისა და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე მაღაროების ნაციონალიზაციის შესახებ საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა ჰუგო შტინსმა, რომელმაც აღნიშ-

ნა, რომ გერმანიის საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და მოქმედების ალტერნატივების საქმე სასესიოთ ქვა-ნახშირის მოწოდებაზე და მოქმედებით მინიშნების გაძლიერება. ეს არის ერთად ერთი საშუალება მილიონების გადასარჩენად და სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად. ორატორმა საუკეთესო დონის მიხედვით მიიჩნია სოციალიზაცია და მოხმარებელთა კავშირის შექმნა. პაეების უმრავლესობა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას უნდა ეკუთვნოდეს. მან ასეთ ღონისძიებათა მიღება საქართველოში განსაკუთრებით ელექტრონის ტრანსპორტისა და სხვა ყოველგვარ სარეწველოებში.

სამეცნიერო აკადემია.

გერმანიის სამეცნიერო აკადემიამ, ჟიურისტიკა და სხვა უმაღლესმა სასწავლებელმა საერთო დაღარების პირობების გათვალისწინებით გერმანიის სამეცნიერო დაწესებულებათა კავშირის კავშირის პირველი სხდომა შესდგა შაბათს ბერლინში. ეს კავშირი დანიშნავს 19 შინა კომისიას, რომელიც გამოიმუშავებს საკუთარ ბიუჯეტს. კავშირის თავმჯდომარეთ აირჩიეს განათლების ყოფილი მინისტრი შმიდტი თავმჯდომარის ამხანაგთ კ. პროფესორი დიკი და დალემი.

ახალი აგებები

დაბუფებულ კრებაში. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე დაბრუნდა დასველებიდან და შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას. ა. წ. 2 ნომერს ალექსანდრე ლომთათიძის თავმჯდომარეობით პრეზიდიუმის დარბაზში შესდგა პრეზიდიუმის, ფრაქციისა და კომისიების თავმჯდომარეების შეერთებული თათბირი დამფუძნებელი კრების მუშაობის განახლების საკითხის გამოსარკვევად და თათბირმა დაადგინა, რომ, თუკა უამინდობის გამო სახალხო რემონტის დასრულება ვაკუაურად, დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა მუშაობის განახლებისათვის დაინიშნოს ა. წ. 9 ნომერის შედგის 12 საათზე.

სახანძრობის ბოქაულების ჯილდო.

აქტიურობის სამინისტროსთან არსებულმა სახანძრო ბოქაულებმა ვინათა ვინათა კომისიამ განიხილა და დაამტკიცა კანონ-პროექტი სახანძრო ბოქაულის ჯილდოს გადართვის შესახებ. თანახმა კანონპროექტის 15 მუხლისა, დადებულ ნიხრით განსაზღვრულ ჯილდოს აღება სახანძრო ბოქაულს შეეძლება იმ პირისაგან, რომლის მოთხოვნებიც თუ მან შეასრულა ესა, თუ ის საქმე.

სამხედრო სასამართლოს ხეცია.

ნოემბრის 5-დან 9-მდე. სამხედრო სასამართლოს სესია არის დაინიშნული. ამ დროის განმავლობაში, სხვათა შორის, განიხილავნ ახალციხის ფრონტის ყოფილ მთავარსარდლის გენ. მახინაშვილის საქმეს. აგრეთვე გაირჩევა საქმე მისი შტაბის უფროსის ჯიჯინასის, რომელსაც დაუდევრობა ბრალდება. გაირჩევა აგრეთვე სხვების საქმეც, რომლებსაც ბრალდებათ სამხედრო ბრძანებების აღსრულებლობა ახალციხიდან 1919 წ. თებერვალში უკანდახვევის დროს, ბრალდებულთ იკავნ ნაფ. ვეჟ. მესხიშვილი, ბარათაშვილი, ჯავახიშვილი და სხვები.

მარგანეცის ექსპორტი.

1919 წ. დეკემბრიდან 1920 წ. ოქტომბრამდე რესპუბლიკის საზღვრებიდან სულ გაუტანიათ 145.830.61 ტონი მარგანეცი. საშუალოდ ყოველ თვიურად საქართველოდან მილიონი ფუთი მარგანეცი გაქონდათ. უმეტესი ნაწილი მარგანეცისა გატანილია ინგლისში-სახელდობრ—75.135, ტონი, შემდეგი ადგილი უჭირავს იტალიას, სადაც 30.234.11 ტონი მარგანეცი არის გატანილი, შემდეგ ჰოლანდიას—19.971 ტონი, შემდეგ ბელგიას—7.642.5 ტონი, და დიობლოს საფრანგეთის სადაც 2.327 ტონი გაუტანიათ. ამერიკაში, და პოლონეთში მ თვის განმავლობაში სულ გაუტანა 9.333.5 ტონი.

შრომის სამინისტროს განმარტება

შრომის სამინისტრომ განმარტა, რომ ერთ და იმავე პირს ორ სხვა და სხვა სამსახურში არ შეუძლია ისარგებლოს ერთ და იმავე უფლებით ესე იგი მიიღოს მომეტება, სურსათის სანოვანე, სალიკვიდაციო და სხვა. ერთი სამსახური უნდა ჩაითვალოს ძირითადით, სხვა კი უნდა ჩაითვალოს ზედმეტ შემოსავლიან წყაროდ. თუ დათხოვა ზღბა ძირითად სამსახურიდან ამ შემთხვევაში მუშები და მოსამსახურეები სარგებლობენ ყველა იმ უფლე-

ბით, რომელსაც ანიჭებს მათ კანონი შრომის ხელშეკრულებს შესახებ.

რკინის გზებზე სახანძრო კომიტეტი.

რკინის გზებზე სახანძრო კომიტეტი მომარაგების სამინისტროს 4 ვაგონი კარტოფილი გადასცა. ეს კარტოფილი დაურიგდებოთ მუშებს და მოსამსახურეებს.

კომიტეტი იღებს ზომებს პურის ღირსების გასაუმჯობესებლად. პურს ორჯერ გაკრიან. აგრეთვე გაუმჯობესებული პურის ფორმები.

დიდი ქარ-ბუქი.

კომბიდან დეპეშით გვატყობინებენ რომ სამი დღის მუშაობის შემდეგ, რდმელიც სწარმოებდა გზის გასაწმენდათ, ამოვარდნილა ქარმა და თოვლმა გაწმენდილი გზა ისევ გადაუჭრა, გზა შეკრა და კვლავ ავტომობილების მოძრაობა შეუძლებელი გახდა, ამიტომ საქართველოსიდან არც ერთი ავტომობილი არ გავიდეს, რადგან ავტომობილების მოძრაობა ხელს უშლის გზის გაწმენდას.

სამხატვრო შრომისა.

სახელმწიფო ოპერა. დღეს წარმოდგენილი იქნება ჟორჟ ბიხეს ოპერა „კარმენი“ კარმენს მღერის ქ. ნი სპიტკო; დონ-ხოხეს ბ. ნი სარაჯიშვილი.

ქართული დრამა. დღეს მესამედ წარმოდგენილი იქნება დ. კლდიაშვილის პიესები „ირინეს ბედნიერება“ და „დარბაზის გასაქირი“.

დღეს, საღამოს 7 საათზე სახელმწიფო დრამის თეატრში დაინიშნულია საგანგებო სასწრაფო სხდომა დრამატ. საზ. გამკვობისა, რომელზედაც მოწვეულია ბ. განათლების მინისტრის ამხანაგი და დამფუძ. კრების ხელმძღვანელები კომისიის თავმჯდომარე და ყველა წევრები. განსახილველია ქართული დრამის წინანდელი მდგომარეობა და მისი მომავალი.

ყველას სთხოვენ აუცილებლად დაესწონ. ვინაიდან თუ ეს სხდომა არ შესდგა და ხელმძღვანელები საკითხი საბოლოოდ არ გამოირკვეა ქართული დრამის წარმოდგენები უნდა შეწყდეს.

დღეს კრებული. გამოვიდა და იყიდება შგოსან იოსებ გვანცლამეს (ქ. არი) ლექსთა კრებული „უკანასკნელი ყვავილი“

მ რ მ ბ ა

სენაკის სამხარო ერობაში.

სენაკის სამხარო ერობის გამგეობა მიდლობას უტანდა მარტვილის, სალხინოს, ნოქალაქუის და აბაშის უბნების მილიციის უფროსებს მიხეილ დანელიას, გულუ სხულუხიას, გიორგი შავდაის და ნოე გვაზავს, 23 აპრილს ამა წლისა სამხარო ციხიდან გაქცულ პატიმრებ-ყაჩაღების შეპყრობაში და ავაზაკ გიორგი რუხიას დედის დროს განსაკუთრებულ ზომების მიღებისთვის, ხოლო კჭრბილ მარტვილის უბნის მილიციის უფროსს მიხეილ დანელიას-თვით ავაზაკ რუხიას მოკვლისათვის და აგრეთვე რუხიას-ბაკომიას ავაზაკურ ბრძოლების განადგურებისათვის.

კაკაბეთის თემი.

ოქტომბრის 10 ს შესდგა კაკაბეთის ხმოსანთა კრება. რომელზეც დადგინდა: არას იდეს არ ჩამოშორდება არც კაკაბეთს, არც ჩაილური და არც ქვერემი სიღნაღს. მრავალი საუკუნის განმავლობაში ყოფილა და არის ეს სოფლები სიღნაღის მაზრასთან მთელის თავისი არსებით შესისხლბორცებული. იმისათვის ამ სოფლების ჩამოშორება სიღნაღის მაზრიდან იქნება იმ სოფლების მოქალაქეთა ინტერესის ფეხ ქვეშ გაქცევა.

ამისათვის ეთხოვოს სიღნაღს სამხარო ერობის გამგეობას მიიღოს ყოველივე ზომები, გასწიოს შეუპოვებლობა რათა არ იქნეს ჩამოშორებული სიღნაღის მაზრის სოფლები: კაკაბეთი, ჩაილური და ქვერემი.

ერობათა კავშირში.

ერობათა კავშირმა სამხარო ერობებს მიმართა-ცირკულარით, რომ მათ გამოგზავნონ ცნობები, რომლებიც შეეხება საექიმო და სასანიტარო საქმეებს. ეს ცნობები საჭიროა საერთო სტატისტიკურ მიზნებისთვის შესადგენად. ერობათა კავშირი აღნიშნავს, რომ 1920 წელი უკვე გადის, მაგრამ საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში შვიი კირის და სხვა გადამდებ სენთა მსვლელობის შესახებ ცნობები ძლიერ ცოტა არის შემოსული. ასეთი ცნობები საექიმო-სასანიტარო განყოფილებაში უნდა იგზავნებოდეს ყოველ-კვირულად, და შემდეგ ყოველ თვიურად, თანახმად ამ ცნობებისა შეადგენენ საერთო სტატისტიკურ მიზნებისთვის. ერობათა კავში-

რი სთხოვს ერობებს დაუყონებლად მიწოდონ მას ყველა ის ცნობები, რომლებიც ესაჭიროება შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო-სასანიტარო განყოფილებას.

ჯ ა თ მ ე ი

ბათუმში და მის ოლქში პანფურქელებმა შემდეგი პრაფაკციული შინაარსის პრაკლამაციები მოჰქინეს:

პატრიარქის მიმართული შინაარსის პრაკლამაციები მოჰქინეს:

რამდენიმე თვის განმავლობაში თქვენი გაკვირებისა და უკიდურეს მდგომარეობის სიმწარის ხმა ჩვენც შეგვესმა. სამშობლოსადმი მოვალეობის შესასრულებლად დღეს თქვენთან მოვიდვართ და ხელს გიწვდით, უფრო მეტად დასახლბრებლად. აქაურ ამხანაგებთან ჩვენ უკვე შევერთდით შოშაობის გასაჩადებლად. ღვთის შეწვევით, ჩვენ მალე, სულ მალე, დედა სამშობლოში, სარწმუნოებისა, ხალხისა, უფლებებ-კუშირების მტრებთან უნდა ვიბრძოლოთ. ყოველ შემთხვევაში დმერთი ჩვენთანაა! ჩვენი მტრების ავტორიტოთა სურვილები და მისწრაფებანი უკვე მოგვხსენდა! სკოლების დამხრუველი მტერი თავის ხიშტით პირდაპირ სარწმუნოებას ჰგმირავს. არ დაგავწყდეთ! ჩვენ მოვსულვართ და გამარჯვებაც მოვიტანეთ. მოთმინება მუსულმანებისა უწმინდესი ღირსებაა, ცოტაც მოგვიტანეთ, მტკიცედ იდგეთ და თქვენი უფლებები დიცავთ. ყოველ შემთხვევაში, ბევრი დრო არ გავა და ღვთის დახმარებით მტერი დამარცხდება და გაიხარებს მუსულმანობა! გამარჯვებოთ, მუსულმანებო!

1 ოქტომბერი, 336 წელი, ბათუმის წარმომადგენლები:

თევზი, აქიფ, აპმედ, ნურიდინ.

— 27 ოქტომბრის 1920 წელს ბათუმის ქალაქის ოლქის ადმინისტრაციის უფროსმა განიხილა ართვინის ოლქის უფროსის პატაკები და ოქმეტი, შავშედის რაიონის კომისარის ლეიტენანტ ვარლი ქუროთიშვილი და მისი საქმის მწარმოებელის აკაკი ქუთათელაძის შესახებ. დაადგინა, აღნიშნული ლეიტენანტი ქუროთიშვილი და საქმის მწარმოებელი აკაკი ქუთათელაძე დაპატიმრებულ იქნენ ბათუმის მილიციის სამართავლოსთან არსებულ საპატიმროში ორი კვირის ვადით, სრულიად სამსახურიდან დათხოვნით, სა-მუსლიმანო საქართველოში პროვოკატორობის და რესპუბლიკის საწინააღმდეგო ავტორიტის გაწვევისათვის.

— პატაროების ვაგრძელება. რადგანაც აქარაში მომქმედ ყაჩაღთა ბრბოს დახმარებას უწევდნენ ხეფშუთ თალიძე და მეფილელო პანი-ოლი, მათ სამი თვით ვანუგრძელებს პატიმრობა.

— ადმინისტრაციული წესით დაპატიმრება. სამხედრო-სასამართლოს მიერ სასჯელის განთავისუფლებული დურსუნ-ალი ოლი, შეჭრი მილიშ ოლი, ასმედ ქორქ ოლი და აურსუნ მილიშ ოლი ხელახლად ადმინისტრაციული წესით სამი თვით იქნენ დაპატიმრებულნი, რადგანაც დამატებით ცნობით მათ ახალი ბრალდებები წამოუყენეს ძარცვა-გლეჯის შესახებ. (ა. ს. 4)

კოოპერატიული სფერო

ქ. ტულისის კოოპერატივთა კავშირის გამგეობას განზრახული აქვს გახსნას კოოპერატიული სასადილო და რესტორანი. ამ განზრახვას მხარს უჭერს ს. კ. ც. კავშირი.

კოოპერატივთა კავშირის გამგეობამ მიიღო ცნობები ბორჩალოს მაზრის ნეიტრალურ ზონაში სასოფლო-სამეურნეო და რძის მრეწველობის საწარმოების დაშლის შესახებ.

ტულისში უკვე შემოიტანეს რძის ნაწარმობი კოოპერატივთა შორის გასანაწილებლად.

ნოემბრის 14 შესდგება ტულისის კოოპერატივთა რწმუნებულების სხდომა კ. ც. კ. კრილობაზე დღეგატების ასარჩევად.

ს ე ნ ა ბ ი

საქართველოს სენატის სამოქალაქო-საკანონო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების სასამართლო სხდომაში 1920 წ. ნოემბრის 5 დანიშნული განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1) საქმე ქალ. ბათუმის „ვეროს“ სანაფ. კომპანიასთან* და „გ. მ. ლიანოზოვის შვილები“ ამხანაგობასთან მიმულის განთავისუფლების თაობაზე.

2) საქმე სავაჭრო სახლის „სოვრემენიის“

სალიკვიდაციო კომისიის თედორე მოროზოვთან 1655 მან. 45 კ. თაობაზე.

3) საქმე ლუკა და სამსონ ტყეშელაშვილებასა ფეოდოსია ტყეშელაშვილთან მიმულის თაობაზე.

4) საქმე დონიკა ტაბატაძისა პეტრე და ილია ტაბატაძეებთან 1800 მან. თაობაზე.

5) საქმე ალექსი პახულოძის საჯაიას იოსებ ქვარაიასთან შემდეგარ სამელიტოროს განჩინების სისრულეში მოყვანის თაობაზე.

6) საქმე ელისაბედ ვინოვის დავით გედევანოვთან 1750 მან. თაობაზე.

7) საქმე გაბრიელ ხუნაშვილის თედო ბარნაბაშვილთან და ჯოლა ხუნაშვილთან ავეჯეულობის დაბრუნების თაობაზე.

8) საქმე ზუგდიდ-სამურზაყანოს რაიონის კოოპერატივთა კავშირის „სახალხო საქმის“ გამგეობისა კინტირია ლუკავასთან სახლის დაკლის და ქირის თაობაზე.

ნამდვილზე აწერია: „ამტკიცებ, 19 ოქტ. 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი“

წ ე ს ღ ე ბ ა

დღესავლეთ საქართველოს სავაჭრო სა-მრეწველო ბანკისა.

I. დარსება და კაპიტალი ბანკისა

§ 5. დროებითი მოწოდებები აქციის მისაღებად უნდა დაწერილ იქნას უთუოდ ხელმომწერის სახელზე და მათი გადაცემა სხვის ხელში ისე არ შეიძლება. თუ ეს გარემოება არ აღინიშნა გამგეობის დავთრებში. ის მოწმობა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული გამგეობის მიერ მიღება გამოცხადებული შესატანი ფულთა, შეტანის სავალდებულო ვადის გასვლისთანავე, ვერ გადაეცემა ანუ ვერ დაეთმობა სხვასა და ყოველივე შორიგება ასეთი მოწმობით არა ნამდვილად ჩაითვლება.

§ 9. თუ ვადაზე არ იქნა შეტანილი ის ფულები, რაც გამოცხადებული იქნება გამგეობის მიერ ა. წ. წესით, ხელის მოწმობის გადახდება ბანკის სასარგებლოდ თითოეული ვადა გადაცილებულ დღისთვის 5% სარგებელი და 5% ჯარიმა წლიური ანგარიშის მიხედვით. შემდეგ ამისა ნომრები მოწმობათა, რომლის შესატანი ფულიც არ იქნა გადახდილი დაინიშნულ ვადაზე გამოცხადდება ვაზ. საქართველოს რესპუბლიკა-ში და ორი კვირის შემდეგ დიდან ვანცხდების დაეჭვდისა. თუ შესატანი ფული მიიწვ არ იქნა შეტანილი, ბანკს გამგეობა მოვალეობა მიჰყოს ხელი ამ ნომრების მოწმობათა გაყვადვას ბორბაზე მაკლერის შემწეობით. შემდეგ ვადა გადაცილებული მოწმობანი გამოცხადებულ უნდა იქნას გაბათილებულად და ახალ შემტენთ უნდა მიეცეს ახალი მოწმობები იმავე ნომრებითა და აღნიშნით, რომ ეს მოწმობები ემტევა იმათ ვადაზე გადაუხდელ მოწმობათა მაგიერ. გაყიდვისაგან ამონაგები თანხა ყველა ხარჯის, განსაზღვრული პროცენტის და ჯარიმის გამოკლებით გადაირიცხვის იმ შესატანის შესაგებად, რომელიც თავის დროზე არ იყო შეტანილი მოწმობათა უპირულ პატრონთაგან და რაც ამას შემდეგ დაჩრება, ის უბრუნდება ამ პატრონებს.

შენიშვნა: ის წესები, რომელიც მოსსენებულთა § 8 და 9 უნდა დაბეჭდილი იყოს დროებით მოწმობებზე.

§ 10. ბანკის აქციები, აქციონერთა სურვლისამებრ შეიძლება იყოს სახელობითი ანუ უსახელონი. ყველა აქცია უნდა იყოს ამოჭრილი წიგნიდან, საცა რჩება ტალონი. აქცია ეს ემტევა პატრონს დანომრილი და ხელმოწერილი გამგეობის სამი წევრისა, ბუხგალტერისა და მოლარის მიერ, თან ბეჭედ დაჭრული. თითოეულ აქციას დაერთვის კომონების ფურცელი დივიდენდის მისაღებად ათი წლის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ აქციის პატრონს მიეცემა ახალი ფურცელი კუპონებისა.

§ 11. გადაცემა ბანკის უსახელო აქციებისა ერთისაგან მეორეს ხელში არავითარ ფორმის შესრულებას არ მოითხოვს და ბანკს უსახელო აქციის პატრონათ მუდამ ის მიჩინა, ვის ხელშია აქცია არის; სახელობითი აქციების გადაცემა კი უნდა ეცნობოს ბანკის გამგეობას, რომელსაც უნდა წარუდგინონ თვით აქციები და იმან უნდა გადასცეს ახალ პატრონს.

(გაგრძელება იქნება)

ს ა მ რ ა თ ა რ ა

დაიკარგა ჯოში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 145 გიორგი დიმიტრის ძე მჭედლიძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგებობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3518 3-1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა კონსტანტინე ვასილის ძე ქოქოსაძის სახელზე, მიღებული სინოდალური კონტორიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3520 3-1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიკიტაი ივანეს ძე მარუთაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3511 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვალერიან ბიკუჩავას სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3514 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვალერიან ტოგონიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3515 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვალერიან ტოგონიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3515 3-1

დაიკარგა პასპორტი კონსტანტინე ალექსის ძე ოქროშქედლოვის სახელზე, მიღებული ახალქალაქის (გორის მაზრა) ერობის სემიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3506 3-1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სერგო გორის ძე დვანეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3507 3-1

ბაირამოვი ავაქ გრიგორის ძე მიწა ზომა 155 კვ. ს. მე-7 უბ. ნორისკი ქ. კაბ. ვალი 256 მან. 70 კაბ. დარჩენილი გადასახადი 186 მან. 91 კაბ.

ბაირამოვი გიორგი იგივე გეგორქა, ალექსანდრე და ოვანეს ბაგდასარის ძეები, იგივენი ალავერდის ძეები მიწა ზომით 311 კვ. ს. მე-7 უბ. კაბ. ვალი 598 მან. 97 კაბ. დარჩენილი გადასახადი 258 მან. 71 კაბ.

ბაკურაძე ნესტორ დავითის ძე შენობები მიწით ზომ. დაახლოებით 92 კვ. ს. მე-10 უბ. მოლოკანის ქ. № 7. კაბ. ვალი 3296 მან. 32 კაბ. დარჩენილი გადასახადი 531 მან. 56 კაბ.

